ეროვნული ბიბლიოთეკა (ეროვნული ბიბლიოთეკა ეროვ-ბ) 93.9

№ 6

3 თებერვალი 1913 წ.

ვისაც 1913 წლ. არ გამოუწერია ჟურნალი „კ ლ დ ე“, იანვრიდან აღარ ეგზავნება.

ყოველ კვირეული საზოგადო ეკონო-
მიური და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ღიაა 10—3 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.

სარჩევი: მეთაური. ადგილობრივ მართვა-გამგ. ახალი კანონი. **ალ. ყიფშიძესი.** ჩვენი ეკონომიკა.— **რ—გესი.** სიმდერა.—ლექსი **ვაჟა-ფშაველასი.** იოანე მტბევარი. **პ. ინგოროყვასი.** პრესა. შორს საზოგადო საქმეებისაგან.—**ეკალისა.** ქალთა საკითხი. **ქუთაისელისა.** ბალკანეთის ომი.— **მეომარისა.** კორესპონდენტი.

თბილისი 3 თებერვალი

1913 წ.

როცა ებრაელები აშენებდნენ ბაბილონის გოდოლსა, რაღაც ღმერთი გაუწყრათ, ენა შეერიათ, ყველამ სხვა და სხანაირად დაიწყო ლაპარაკი და საერთო საქმე ჩაიფუშა: ერთმანეთისა აღარა ესმოდათ რა და რიღას გაკეთება შეეძლებოდათ. ეხლა თითქო ჩვენც გაგვწყრომია იელოვა და საერთო საქმის დროს ენა შერეული გვაქვს და ერთი ერთმანეთისა არა გვესმის რა. რომ გადაავლოთ თვალი ჩვენ „მრავალრიცხოვან“ პრესას, რომ ჩაუკვირდეთ ჩვენი ჟურნალ-გაზეთების მიმართულებას, ადამიანი გაოცდება, თუ მიზანი და მისწრაფებანი, როგორ ყველას ერთი გვაქვს თითქო და იმავე დროს ერთი-ერთმანეთს სჭამენ სულ უბრალო და უმნიშვნელო საბაბების გამო, სჭამენ როგორც ფარაონის მჭლე ძროხები და ისევე მჭლენი რჩებიან.

სად არის ამის მიზეზი? რად ვფანტავთ ასე ჩვენს ლიტერატურულს ძალას, რად ვალევთ ენერგიის დიდ ნაწილს უმნიშვნელო და არა სასურველ შეხლა-შეჯახებას, როცა საქმე – სამკალი ბევრია და მომკალნი ასე ცოტანი?

ამის მიზეზი ბევრია. მათი ღრმა ანალიზი არც ისე ძნელია, მაგრამ ყველანი იმდენად უმნიშვნელოა საერთო საქმის და მიზანის წინაშე, რომ მათზე შეჩერებაც არა ღირს, მგონი. ცხადი ერთია მხოლოდ,—ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა უმეტეს ნაწილად, მიზანზედ, ანუ პრინციპზედ კი არ ეკამათება ერთი-ერთმანეთს, რადგან უმეტესობას ერთი უმაღლესი მიზანი აქვს—ეროვნული აღორძინება და განვითარება – არამედ დაუცხრომელი ბრძოლა წვრილმანების გარშემო ტრიალებს. და მარტო ამით აიხსნება, რომ ატეხილი უთანხმოებანი, ყოველთვის უსიამოვნებას და გულის ტკივილს იწვევენ მკითხველში. ის პრესა, რომელიც ხელმძღვანელიუნ და იყვეს საზოგადო აზრისა, რომელიც უნდა მიმართულებას აძლევდეს საერთო საქმეებს თავისი შეგნებული გათვალისწინებით ყოველი მოვლენისა; რომელიც უნდა აწარმოებდეს გარკვეულს, მიზან-შეწონილ პოლიტიკას,—იფანტება, ჰკარგავს უმთავრესს –წვრილმანებში, რყვნის დიადს – უმნიშვნელოთი.

დაღალულს, გულგაწყალებულს უსაფუძვლო კამათით, მკითხველს, ვეღარ მიუგნია იმ სიმართლის გულამდის, რომელსაც ამდენი ხარა-ხურა აფარია.

მერე უჩანს განა ბოლო ამ ენათა და შემეც-

ნებათა აღრევას? არ-ს სადმე ზოლი, რომელზედაც შეიძლებოდეს შერიგება, შეთანხმება პრესის და საზოგადოების კონცერტისა, თუ კრილოვის არაკისა არ იყვეს, გარეშე ფრინველთ თამამად შეუძლიანთ გვითხრან: „а вы, друзья, какъ ни садитесь, все въ музыканты не годитесь“?

ჩვენის ღრმა რწმენით და მცირეოდენი გამოცდილებითაც ვიცით, რომ მეთანხმება მაშინ, როცა საშენებელი გოდოლი, ანუ მიზანი ერთი და იგივეა, —ძნელი არ არის. და ის კერძო ინტერესები, ის განსაკუთრებული კერძო მიზნები, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, **ნაწილები საერთო მიზნისა**, რომელსაც ყველანი ვემსახურებით, არ უნდა გვიჩრდილავდნენ თვით მიზანს.

თორემ, ეხლა ჩვენ პრესას არამთუ არ შეაქვს შეგნება ეროვნული მთლიანობისა ჩვენს საზოგადოებაში და ხალხში, არამედ იმ კავშირსაცა შლის და ჰგლეჯს, რომელიც ბუნებრივად არის დამყარებული; და ათას მტრულ ბანაკებადა ჰყოფს გააფთრება, ისედაც დაკნინებულ ერსა.

ჩვენის აზრით, ჯერჯერობით კარგი იქნებოდა მოგვეხერხებინა როგორმე პერიოდული შეყრა ერთი-ერთმანეთთან პრესის წარმომადგენელთა და გამორკვევა ზოგიერთი საჭირ-ბოროტო საკითხისა. კარგი იქნებოდა მოსპობა იმ უნაყოფო კინკლაობისა, რომელსაც დღე-მუდამ შეაქვს გაბოროტება საზოგადოებაში და ყოველ რეალურ საქმეს, ყოველს მოქმედებას მხოლოთ აფერხებს და აძნელებს.

ამიტომ მივმართავთ ჩვენი ეროვნული პრესის ყველა წარმომადგენელთ, ვინც პრინციპიალურ წინააღმდეგობას ვერ დაინახავს ასეთ შეთანხმებაში, გამოსთქვან თავისი აზრიც.

იქნება, საერთო ძალით უკეთ შეიძლებოდეს მოგვარება არა მარტო ჩვენი სიტყვიერი მსჯელობისა, არამედ ყველა იმ კურტულურ-ეკონომიურ დაწესებულებისა და საქმისა, რომელთაც ნება-ნება საფუძველი ეყრებათ და რომელზედაც უნდა აღმოცენდეს ჩვენი ერის მომავალი ძალღონე.

ადგილობრივ მართვა-გამგეობის ახალი კანონი

რუსეთის მთავრობა რომ დამკვიდრდა საქართველოსა და შემდეგ სრულიად ამიერ-კავკასიაში, მხნედ შეუდგა ადგილობრივ მართვა-გამგეობის მოწყობას, მაგრამ მთელი ორმოცი წელიწადი მოანდობა ამ საქმეს და ძლივ-ძლივობით 10 აპრილს 1840 წელს დაამტკიცებინა კანონი ადგილობრივ მართვა-გამგეობისა. დღეს არსებულ მართვა გამგეობას ჩვენში აი სწორედ ეს 1840 წლის დაძველებული და ხავს მოკიდებული კანონი უდევს საფუძვლად. მთავარ-მართებელი პასკევიჩი იმ აზრისა იყო, რომ ადგილობრივი მართვა-გამგეობა საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში ისეთივე უნდა იყვეს, როგორც შიდა რუსეთშია და ძველი საქართველოს კანონები დავიწყებას უნდა მივცეთო. ეს აზრი მთლად შეითვისა „ბრწყინვალე“ სენატორმა ბარონმა განმა და მისი ნამუშევარი, ნაფიქრი და ნააზრევი 10 აპრილს 1840 წ. კანონად იქცა. ამ დღიდან მართვა-გამგეობა ჩვენში იგივეა, რაც რუსეთში, განსხვავება არსებითად არაფერშია. იგივე გუბერნატორები, მაზრის უფროსნი, ბოქაულნი, დარაჯნი და ურიადნიკები, მამასახლისნი და სხვა.

ამ ჟამად განძრახულია შესცვალონ და სხვანაირად მოაწყონ ადგილობრივი მართვა-გამგეობა. უპირველეს ყოვლისა აპირობენ მოსპონ სახალხო-სამხედრო მართვა-გამგეობა დაღესტნისა, ყარსისა და ბათუმის ოლქებში და ყველგან, სადაც ეს ინსტიტუტია დაწესებული. შემდეგ ამისა მთელს ამიერ-კავკასიას დასერავენ „უჩასტკებად“. განძრახული უჩასტოკი დღევანდელს საბოქაულოზე ცოტათი დიდი იქნება ტერრიტორიით. ზოგს ახლანდელ მაზრაში ოთხი ხუთი უჩასტოკი გამოიკრება, მაგალითად, გორის მაზრაში.

უჩასტკის უფროსი კაი მოზრდილი მოხელეა, მეექვსე კლასისა და ჯამაგირად ექნება 2500 მ. და 500 მ. სამგზავრო. *) უჩასტკის უფროსს ექნება კანცელარია ორის თანაშემწით, საქმის მწარმოებლით, ეკზეკუტორით, საქმის მწარმოებლის თანაშემწეებით, მწერლებით და სამის უფროსის ურიადნიკით. ყველა ამათ კაი მოზრდილი და თვალსაჩინო ჯამაგირი

*) მისცემენ აგრედვე დამატებით ჯამაგირს დამსახურებულ სამსახურისას.

დაენიშნებათ. მაგალითად საქმის მწარმოებელს 1200 მ. და ურიადნიკს 720 მან.

თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში განძრახულია ოც-ოცი უჩასტოკი.

მომავალი უჩასტკის უფროსი მოვალე იქნება აასრულოს ის, რასაც დღეს აკეთებენ: მაზრის უფროსი, მომრიგებელი შუა კაცი და სახელმწიფო მამულების ზედამხედველი. იგია მოვალე გააკეთოს აგრედვე ის, რასაც ინჟენერ-ჰიდრავლიკი აკეთებს. სწავლა-განათლება დიდი უნდა ჰქონდეს უჩასტკის უფროსს, უმჯობესია რომ უნივერსიტეტი ჰქონდეს დასრულებულიო.

განძრახული რეფორმა (მე 7 მუხლი) თხოულობს, რომ უჩასტკის უფროსმა იცოდეს ადგილობრივ მკვიდრთა უმრავლესობის ენა. ფრიად საყურადღებოა ეს მოთხოვნილება. 112 წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთი დამკვიდრდა საქართველოსა და ამიერ კავკასიაში და მხოლოდ დღეს შეითვისეს ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ ადგილობრივ კურდღელს ადგილობრივი მწევარი დაიჭერს ხოლმე. ერისა და ხალხის უფროსმა როგორ უნდა იუფროსოს ერზე, თუ მისი ენა არ ესმის, თუ მის აზრსა და სურვილს თვისის ყურით ვერ მოისმენს. აკი ვერც ისმენდნენ და იგებდნენ და იყო ერთი უშველებელი და დაუსრულებელი ტანჯვა და ვაივაგლახი. ხალხი ზნეობრივ ირყვნებოდა, ძირს ეცემოდა, ხოლო სახელმწიფოს ტყუილ-უბრალოდ ზარალი მოსდიოდა. მადლობა ღმერთს, რომ დღეს მაინც მიხვდნენ ამ ჭეშმარიტების განხორციელების საჭიროებას და ჰსურთ კანონად აქციონ ის, რაც 112 წ. წინად უნდა დაეკანონებინათ. მაგრამ ვინც იცის, თუ რას წარმოადგენს დღევანდელი მებრძოლი, გათამამებული, ხმალამოწვდილი და მოპარპაშე ცრუ ნაციონალიზმი, ის მიხვდება. რომ ვაი თუ ბედნიერი სურვილი კავკასიის მთავრობისა, ცარიელ სურვილად და ოცნებად დარჩეს. ამისი მაგალითი თვალწინა გვაქვს. რა ფართოდ იყო განძრახული ერობა, მაგრამ ამ ჟამად ასეთ ერობაზე სერიოზულად არავინ ბაასობს და ბჭობს და მხოლოდ თითო-ოროლა გულ გატეხილი ოპტიმისტი ჟურნალისტი თუ ოცნებობს ერობის შემოღების საჭიროებაზე და ხანდახანობით აწრიპინებს კალამს.

ფართო ერობის მაგიერ განძრახული მომავალი რეფორმა აწესებს ერობის მინაგვარს საუჩასტკო, ანუ სათემო თვითმართველობას, საუჩასტკო კრებას და საუჩასტკო გამგეობას (участковое собраніе и участковая управа). კრებამ ის საერობო საქმენი უნდა განაგოს, რომლის გასაძღოლად ფული არ არის გადადებული საერთო საერობო თანხიდან (103 მუხლი). კრებაზე მონაწილეობას იღებენ გლეხთა წარმომადგენელნი, სამას კომლზე, ერთი წარმომადგენელი (108 მუხლი). მოქალაქეთაგან თითო წარმომადგენელი ყოველ 1,500 მცხოვრებელზე და კერძო მემამულეთაგან ის, ვისაც უფლება აქვს სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს; იმ პირობით კი რომ კერძო მემამულეთა წარმომადგენელთა რიცხვი არ აღემატებოდეს პირველ ორ რიგის წარმომადგენელთა ერთს მეხუთედს.

საქმის წარმოება სათემო თვითმმართველობაში რუსულ ენაზე სწარმოებს. ასეთი მოთხოვნილობა კანონისა (123 მუხლი) ლოგიკურად ეწინააღმდეგება მეშვიდე მუხლს და ნათლად გამოსჭვივის ძველი შიში და უნდობლობა. რა ადგილი აქვს წვრილ და პატარა ადგილობრივ საქმის წარმოების დროს სახელმწიფო ენას. რა დააკლდება სახელმწიფოს და რა ზარალი მიადგება მის უმაღლეს ინტერესს, ქართულად, თათრულად ან სომხურად რომ დასწერონ მთიდან სოფელში ანკარა წყარო გამოვიყვანოთ და საჭირო ხარჯი გავიღოთ ამისათვისო. კარგის რუსულის მცოდნეს ზორბა ჯამაგირი უნდა და ასეთი ტვირთი წელს მოსწყვეტავს ულონო საუჩასტკო თვითმართველობას.

დღემდის სოფელს უვლიდა და პატრონობდა მამასახლისი თვისის ნაცვლებით. ახლა განძრახულია შემოიღონ ისიც, რასაც რუსეთში ეძახიან „ვოლოსტნოე უპრავლენიეს“. მაშასადამე გაგვიჩნდება ახალი მოხელე სოფლად „ვოლოსტის სტარშინა“, ანუ მამასახლისი. იგი საპოლიციო საქმეებში ემორჩილება უჩასტკის უფროსს, ხოლო საზოგადო სათემო და საერობო საქმეებში საუჩასტკო გამგეობას, ანუ უპრავას.

აი ესაა უმთავრესი საფუძველი, რომელზედაც აუშენებიათ მომავალი რეფორმა. საბოლოოდ რა საზეს მიიღებს ადგილობრივ მართვა-გამგეობის ასე დაყენებული რეფორმა, ძნელი გამოსაცნობია.

ალ. ყიფშიძე.

ჩვენი ეკონომიკა

I.

ვინმე ნ. „მშრომელს“ ფრიად საინტერესო ცნობები და ციფირები მოჰყავს გაზ. „ხმა კახეთისა“-ში თამბაქოს მოყვანის შესახებ ქიზიყში. მისი ანგარიშით, წელიწადში 100,000 - 400,000-მდე ფუთი თამბაქო მოდის ქიზიყში და მოუწყობელობის გამო გროშის ფასად იყიდება და მშრომელი ხალხი თითქმის არაფერ სარგებელს არ იღებს იქიდან. როგორც ყველა სხვა ჩვენი მეურნეობის დარგში, აქაც ჩარჩები და მოვაჭრეები ისუქებენ ჯიბეებს. ბატონი „მშრომელი“ წინადადებას აძლევს საზოგადოებას და განსაკუთრებით ქართულ სამეურნეო ბანკს მოაწყოს საწყობი და ფულის დროზედ გაცემით, მშრომელსაც შეღავათი მისცეს და მეტი სარგებლობა და ამით თვითონაც მოგება შეინარჩუნოს. მშრომელის ანგარიშით, ბანკს აქედან 10—15-მდე ათასი მანეთი დარჩება წელიწადში ხარჯგარეთი მოგება.

შეუძლიან თუ არა სამეურნეო ბანკს ასეთი საწყობის გამართვა - ეს ძნელი სათქმელია. ცხადი კი მხოლოდ ერთია, რომ ჩვენს მდიდარ ქვეყანას, მდიდარს სამეურნეო ძალით და ნაყოფიერებით— პატრონი არა ჰყავს, თორემ განა მარტო თამბაქოს წარმოება ასეთ უნუგეშო მდგომარეობაში? აბა გაიხსენეთ ჩვენი მთიულების, თუშების უბედური მდგომარეობა, რომელნიც იძულებულნი არიან ჩალის ფასად გაჰყიდონ თავისი ძვირფასი ცხვრის მატყლი, რომელსაც მშვენიერი ბაზარი აქვს მოპოებული საზღვარ-გარედ. გაიხსენეთ კახური ღვინო, რომელის ბაზარი მეტად ფართეა, რომ შესაძლებელი იყვეს მისი ასე ფლანგვა. მოიგონეთ გორის მაზრის მეხილეობა, იმერეთის მეაბრეშუმეობა — და თქვენ თვალწინ გადიშლება მეტად უცნაური სურათები: გვაქვს და ვერ ვსარგებლობთ. ვჩივით სიღარიბეს მაშინ, როცა ბედმა თვით სამოთხეში დაგვასახლა, საცა „ქრისტე ღმერთმა თვისი მადლიანი კალთა დაიბერტყაო“.

რა გვიხსნის ასეთ უმწეო მდგომარეობისაგან? წავიდა ის დრო, როცა იარაღით სწყვეტდა საქართველო თავის ბედ-ილბალს; ჩვენ გვგონია, უნდა წავიდეს ის დროც, როცა მხოლოდ კულტურული ლაყბობით და მწერლობით ვაპირებდით ქვეყნის აშენებას, უნდა ამოიფხიკოს ჩვენი ფსიხოლოგიიდან ის შეცდომა, ვითომც მხოლოდ პოეზიას, ლექსთა წყობას, თეატრს და სხვა ამ გვარებს ჰქონდეთ უდიდესი და უმაღლესი კულტურული ღირებულება ხალხის ცხოვრებაში.

ყოველი ერის ფიზიკური ძალა, მისი არსებობის საძირკველი უნდა განმტკიცებული იყვეს მისი ეკონომიური ცხოვრებით. ეხლანდელი ხანა ჩვენ ძალაუნებურად გვაბამს სხვა ერთა ფერხულში და გვაკავშირებს მათთან ეკონომიურის მხრით.

უნდა გადავაგდოთ თავად-აზნაურული კუდაბზიკობა და მთავარი ყურადღება მივაქციოთ ჩვენს ეკონომიურს აღორძინებას.

აქამდის ქართველი კაცის ფსიხიკა ვერ შერიგებია იმას, რომ ღერძმა ეკონომიური ცხოვრებისამ უნდა მძლავრად დაიხვიოს ზედა ვაჭრობა-მრეწველობაც, ინტენსიური მეურნეობა, მიწის სიმდიდრის დამუშავებაც. აქამდის ვერ მოგვიშორებია თავიდან ცრუ სირცხვილი, რომ ვაჭრობა—არა საკადრისი ხელობაა, აქამდის ვერ შევჩვეივართ იმ აზრს, რომ ყოველ მისწრაფებას—ძალა ეკონომიურ საფუძველში უნდა ჰქონდეს.

ჩვენ ხან ვჩივით, რომ ერთად-ერთი რეალური ძალა, აქამდისაც თავ.-აზნაურობის კრებულია, როგორც ორგანიზაცია; ხან გვინდა პოლიტიკური ლოზუნგებით შევაგროვოთ ჩვენი ძალები და თავი მოვიტყუოთ, ვითომ მართლაც ძალა გვაქვს; ხან ვამაყობთ წარსულის დიდებით და გვინდა ეხლანდელი ჩვენი უნუგეშო მდგომარეობა წარსულით ფონს გავიყვანოთ, როდესაც ჩვენ ხელითა, ნამდვილი, უტყუარი ძალა,რომელსაც არ უმტყუნია არც ერთი ერისათვის და რომელიც ისე ადვილად აგვამაღლებს სხვა ერთა კეთილდღეობამდე—ეს არის ეკონომიური ძალა.

როდესაც ჩვენ ეკონომიურად მოვღონიერდებით. როდესაც ხალხი ინტენსიურად ამოსწოვს მიწას მის უთვალავ სიმდიდრეს, როდესაც ქარხანა-ფაბრიკები დააგუგუნებენ თავის მძლავრ ღუმელებს, როდესაც მთელი მხარე მოიფინება მძლავრი კოოპერატიული კავშირებით, რომელნიც კარგი და იაფი საქონელის მიწოდებით ზურგს გაუმაგრებენ წვრილ ვაჭრებს და მომხმარებელთ—აი მაშინ შეიძლება მხოლოდ ყოველმა კულტურულმა დაწესებულებამ ღონიერი და გამრჯელი მუშა მოიპოვოს, მაშინ შეუძლიან არსებობა—აყვავება თეატრს, ბიბლიოთეკებს, წ.-კ. საზოგადოებას და სხ. მაშინ შეეძლებათ პოლიტიკურ პარტიებს ჯარის კაცების მოპოება, თორემ ეხლანდელი პარტიების მდგომარეობა სიცილს მოჰგვრის ადამიანს: არც ერთს მათგანს ხალხი არა ჰყავს და

გაზეთების ფურცლებით ღა იოხებენ გულსა. დასტამბავენ ერთი მუშის, ერთი გლეხის, ან ვატმანის წერილს და ჰგონიათ რომ ხალხში უკვე ფესვები აქვთ გადგმული.

ჩვენის აზრით, ვერც ერთი პოლიტიკური იდეა, ვერც ერთი კულტურული დაწესებულება ფეხს მჭიდროდ ვერ მოიმაგრებს, თუ ღონიერი ხალხი არა ჰყავს დამცველად, თუ არ არის ის კონტინგენტი ადამიანებისა, რომელზედაც უნდა დაემყაროს, რომელთაც უნდა განახორციელონ ეს იდეა—ცხოვრებაში. ამისათვის კი ხალხის შეგნებული მოქმედებაა საჭირო.

რა გამოიწვევს შეგნებულ მოქმედებას, თუ შეგნებული მხოლო სარდლები არიან, და ჯარის კაცნი კი უვიცზედ უვიცნი. მათში კი, ხალხში, მასაში შეგნება ისე ადვილად არ შედის, როგორც ბევრს ჩვენგანს ჰგონია: ჟურნალ გაზეთები ბევრი გვაქვს, ბიბლიოთეკები, „დღეში ხანდახან 5 წარმოდგენა იმართება ქალაქშიო“, როგორც ერთი რედაქტორი თავმომწონეთ გვარწმუნებდა, მაგრამ ეს არამცთუ საკმარისი არ არის, ეს პირდაპირ მავნებელია იმით, რომ თვალს გვიხვევს სინამდვილეზედ და ჩვენი საკუთარი ნაწარმოებით ჩვენვე ვსტკბებით: ინტელიგენცია ინტელიგენციად რჩება და ხალხი ისევე შეუგნებლად.

მაშ რამ უნდა შეიტანოს შეგნება ხალხში? ხალხი ნაკლებ ეტანება პირდაპირ თეორიით გადმოცემულ სწავლებას და სიმართლეს. შენის პირით რომ თვით ჭეშმარიტება ღაღადებდეს—ის თავის ქნევით გიპასუხებს და შეთვისებით კი ვერაფერს შეითვისებს. მერე თუ თავადიცა ხარ, ან აზნაური (მერე ჩვენში ვინ არ არის ამისთანა) შენი ღვთის წყალობაც—ღვთის რისხვად მიაჩნია.

სულ სხვაა, როცა რაიმე პრაქტიკულ ცოდნას აწვდი და ამ ცოდნის პირდაპირი ნაყოფი აჩვენე; მაშინ იგი დიდის მუყაითობით ითვისებს შენს ნათქვამს და ბევრჯელ კიდევაც გჯობნის განხორციელებაში, რადგან ბუნებრივად ჩვენი ხალხი მოსაზრებას მოკლებული არ არის.

და აი, როცა ასეთი შედეგებით ხალხი ზურგს მოიმაგრებს, როცა დღიური ლუკმისთვის წელებზე ფეხს არ დაიდგამს, მაშინ თვითონ შეიგნებს იმას, თუ რა უფრო საჭიროა, და რომელი იდეები, რომელი პოლიტიკური მისწრაფებანი მისთვის უფრო ხელსაყრელია. ეხლა ზეიდან ვახვევთ ყველა იდეების საბურველს და მაშინ კი თავისუფალი ამომრჩეველი იქნება. ეხლა ჩვენ ვხედავთ, რომ შეუგნებელი ხალხის აქეთ-იქით გადაბირება ადვილია. მაშინ კი თვითონ უკარნახებს თავის სურვილებს.

და აი რას უნდა ვეცადნეთ ჩვენ, საით უნდა მივმართოთ ჩვენი ყურადღება, რადგან მარტო ეკონომიურად გაღონიერებული ხალხია სულიერადაც ღონიერი და გონებრივადაც ფხიზელი.

რ. გ.

ქართული მუზეუმი



ღუზა, ნაპოვნი სადგურ ქარელთან მდინარე მტკვარში (ფიქრობენ, რომ ეს მაჩვენებელია იმისა, ვითომ ერთ დროს იმ ადგილამდის მტკვრით ადიოდნენ სავაჭრო გემები).

სიმღერა

რამ შემქნა ადამიანად,
რატომ არ მოვედ წვიმადა,
რომ ვყოფილიყავ მუდამ
ღრუბელთ გულ მკერდის მძივადა;
მიწაზე გადმოსაგდებად
ცვარად, ან თოვლად ცივადა,
არ გამწირავდა პატრონი
ასე ოხრად და ტივლადა.
ცაშივე ამიტაცებდა,
თან მატარებდა შვილადა
ასე არ დამჭირდებოდა
სულ მუდამ ყოფნა ფრთხილადა.
მზის მოტრფიალე ვივლიდი
სიკვდილის გამაწბილადა:
მაღლა ცა, დაბლა ხმელეთი
მე მექნებოდა წილადა
გავახარებდი მთა-ბარსა,
ოდეს ვნახავდი მწვანედა,
მორწყულსა ჩემის ოფლითა,
ყვავილებს შიგნით, გარეთა.
გადაუშლიდი გულ-მკერდსა
დღისით მზეს, ღამით მთვარესა
სიცოცხლეს ვაგრძნობინებდი
მომაკვდავ არე-მარესა.
თოვლად ქცეულსა გულშია
ცეცხლად იმედი მრჩებოდა,
რომ ისევ ჩემი სიკვდილი
სიცოცხლედ გადიქცეოდა
და განახლებულ ბუნებას
ყელ-ყურზე მოეხვეოდა.

ვაჟა-ფშაველა.

იოანე მტბევარი

(მოკლე შენიშვნა).

შესანიშნავ ქართულ სასულიერო მგოსანზე მეათე საუკუნის მეორე ნახევრისა — იოანე მტბევარზე, როგორც საზოგადოთ ძველ ქართველ მწერლებზე, მეტად ნაკლები საბიოგრაფიო ცნობები დაგვრჩენია. დანამდვილებით შეგვიძლია ვსთქვათ მხოლოდ, რომ 978—988 წ. (ქ. შ.) როდესაც სხვა და სხვა სინქრონიზმების მიხედვით, გადაწერილია ცნობილი მიქაელ მოდრეკილის კრებული *), ჩვენი მწერალი ატარებდა მტბევარ მღვდელ-მთავრის ხარისხს და მაკურთხევლობდა ტბეთში. ტბეთი, შავ-

*) ხელთნაწერი წ.-კ. საზოგადოებისა № 425

შეთს დაფუძნებული მე-X-ე საუკუნის პირველ წლებში ტაო-კლარჯელ მთავრის აშოტ კუხის (918) მიერ, ქართველ მწერლის -წმ. მიქეილ-გობრონის აგიოგრაფის—სტეფანე პირველ მტბევარის სახელზე, —წარმოადგენდა ტაო-კლარჯელთა სალიტერატურო სკოლის ერთ მეტად თვალსაჩინო სამოღვაწეო ცენტრს. აქ არის ნაშრომი მრთელი რიგი ქართულ მანუსკრიპტებისა. აქ მოღვაწეობდნენ, ან აქაური მკვიდრნი იყვნენ, მთელი წყება ქართველ მოღვაწეებისა, რომელთაც თავისი წვლილი შეიტანეს ქართულ მწერლობაში და ჩვენი სასულიერო კულტურის სხვა დარგებში და იღვწოდნენ როგორც აქ, საქართველოში, ისე საქართველოს გარეშე, ქართულ სამონასტრო ახალშენებში—მთაწმიდას, როგორც მაგ., აკვილა მტბევარი მე-XI საუკუნეში; შავმთას (ანტიოქიის ახლო), მაგ., დავით ტბელი მე-X-ე საუკუნის გასულს, ანტონ ტბელი მე-XI საუკ., იერუსალიმს, სინის მთას და სხვ.

ტბეთის ეპისკოპოსობა იოვანე მტბევარს ეპყრა 995 წლამდე, ხოლო ამ წელს, ან ცოტათი უწინ ჩვენი მგოსანი აუყვანიათ აწყურის სამთავარ-ეპისკოპოსო დიდ—მნიშვნელოვან ხარისხში, როგორც ამას ვვიმტკიცებს ეგრედ წოდებულ ტბეთის 995 წ. შესანიშნავი ოთხთავის **) წარწერა: „ქრისტე ადიდე იოანე მამათ-მთავარი პირველ მტბევარი და აწ შენ მიერ მაწყვერელი ეპისკოპოსი“ ***). მაწყვერელადვე მოიხსენება ჩვენი მღვდელ-მთავარი მე XI-ე საუკუნის პირველ ათეულში, სვიმეონ ქართლისა კათოლიკოზისათვის გადაწერილ იაკობის ჟამის-წირვაში, რომელიც დაცულია ქართულ საეკლესიო მუზეუმის ხელთნაწერთა კოლლექციაში (№ 86). აი, ყველა საბიოგრაფიო ცნობები, რომელსაც ქართული წყაროები გვაწვდიან ამ შესანიშნავ ქართველ მწერალზე.

მე-X-ე საუკუნე, როგორც ამას პირველ-წყაროები გვიჩვენებენ, ქართულ ჰიმნოგრაფიის აღყვავების ხანად უნდა ჩაითვალოს. ამ დროს ჩვენ ვხედავთ მრთელ ჯგუფს ქართველ სასურიელო მგოსანთა. მათ შორის,—იოვანე მინჩის შემდგომ, პირველობა, ეჭვს გარეშეა, იოანე მტბევარს ეკუთვნის. მისი დიდი ნიჭი აშკარა სიცხადით გამოსჭვივის მის პოეტურ შემოქმედების იმ მცირეოდენ ძეგლთაგანაც, რომელნიც გადარჩენია უკუღმართ დროთა მსვლელობას და ჩვენამდის მოუღწევია. ეს ნაწარმოებნი,—სასულიერო საგალობლები და შესხმანი,—რიცხვით 15, რომელნიც, გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, წარმოადგენენ მცირეოდენს ნაწილს მღვდელ-მთავარ მგოსნის ნაწერებიდგან,—დაცულია მიქაელ მოდრეკილის შესანიშნავ კრებულში. წრფელი გრძნობა, სადა, ხალხური, მაგრამ ამასთანავე მეტად სურათებიანი, პოეზიის ფერადებით მოჭარგული ენა,—სწორედ მომხიბლავად ხდიან ამ ქართულ სასულიერო პოეზიის შედევრებს. რელიგიოზური ელფერი, რომელიც ასეთის ნიჭით, გრძნობით და, შეიძლება ითქვას, მიმზიდველის გულწრფელობით არის შექსოვილი შესხმა—საგალობლების, ხშირად დრამატიულად შემუშავებულ შინაარსთან და ანკარა წყაროსავით სჩქეფს მის ნაწარმოებთა ყველა სტრიქონებიდგან,—ამრავალკეცებს მათს ესთეტიურ ჭთაბეჭდილებას. დამახასიათებელია აგრეთვე იოანე მტბევარის შემოქმედებისათვის პატრიოტული გრძნობა, რომელიც გამოსჭვივის ამ ნამდვილ პირვანდელ ქრისტიანულ მსოფლმხედველობის მატარებელ პოეტის ნაწერებიდგან, რომელიც, პირველ შეხედვით, დაშორებული უნდა ყოფილიყო საქაო, სახორციელო მისწრაფება—სურვილებს. წინააღმდეგ ამ მოლოდინისა, ჩვენი მგოსანი არა ერთგზის შესთხოვს ზეციერ მეუფეს მოჰმადლოს ქართველ მეფეს ძლიერება და მიანიჭოს მას ძლევა ბარბაროსთა და წინააღმდგომთა ზედა.

იოანე მტბევარის შესხმა—საგალობლები ფორმის მხრითაც არის შესანიშნავი. იოანეს შესხმა ᲒᲨორის ჩვენ გვხვდება ერთი ვრცელი, LXII ხუთტაეპოვან ხანის შემცველი, საგალობელნი, დაწერილი ბერძნულიდგან შეთჯსებულ იამბაკოთი, რომელიც აქნობამდის შეუნარჩუნებია ჩვენს მწერლობას. ეს ერთ უძველეს ნიმუშთაგანია წყობილ-სიტყვაობისა ქართულ სიტყვიერებაში. მხოლოდ ერთი იამბიკური საგალობელი უძლიერეს ქართველ სასულიერო მგოსნისა, იოანე მიჩნისა, რომელიც სცხოვრობდა მე-X-ე საუკუნის პირველ ნახევარში, გიორგი II აფხაზთა მეფის (921—955) დროს და, შესაძლოა, ორიოდე ნიმუშიც ქართველ სასულიერო პოეტებისა—ფილიპესი და გიორგი ბერისა,—ქრონოლოგიურად წინ უსწრებს მას.

იოანე მტბევარი, როგორც სჩანს, განთქმული ყოფილა არა მხოლოდ მგოსნობით, არამედ წმიდა ცხოვრებით და ზნეობრივი უმწიკვლობა—სიმაღლით. მისი თანამედროვე, დიდი განათლებული შემკრები საგალობელთა უძვირფასესი კრებულისა—მიქაელ

**) დაცულია სპბ. საიმპერატორო საჯარო წიგნთ-საცავში, კრება იოვანე ბატონიშვილისა.

***) იხ. Проф. Цагарели, свѣдѣнія и пр., I, გვ. 71.

მოდრეკილი, თვით სასულიერო მგოსანი, — უწოდს ჩვენს მწერალს „ღმერთ-შემოსილად“, ხოლო მისს შესხმა — საგალობლებს თქმულებად „სიბრძნითა სულისა წმიდისაჲთა“. აგრეთვე სურათზე, რომელიც მისვე სიცოცხლეში არის შესრულებული, იოანეს თავი შემოსილია წმიდანის შარავანდედით.

მიქაელ მოდრეკილის კრებულს, რომელსაც დაუცავს იოანე მტბევარის ნაწარმოებნი, — დაუცავს მისი სურათიც, რომელიც ულიდეს განძად უნდა ჩაითვალოს: ეს არის ერთად ერთი ნამდვილი, თანამედროვე სურათი ძველ-ქართველ მწერლისა.

იოანე მტბევარი და ბასილი კესარიელი

სურათი ჩართულია „კლდის“ დღევანდელ №-ში. სურათი (სამწუხაროდ ღაზიანებული) შესრულებულია თვით მწერლის სიცოცხლეში, 998—988 წწ., და თანამედროვეა მიქელის ზემო მოხსენებული კრებულისა. იოანეს სურათს კრებულის ტექსტის ხელით აწერია: „იოვანე მტბევარი ეპისკოპოსი“; რუქაზე რომელიც ხელში უპყრია ჩვენს მღვდელ-მთავარს იკითხვის: „მომიტევე მე კანდიერებაჲ არა ღირსსა“. მის გვერდით დახატულია ბასილი დიდი კესარიელი, რომელსაც, კრებულის იმ გვერდზე, რომელზედაც მოთავსებულია ეს სურათები, ჩვენი მგოსანი მიუძღვნის შესხმას. ზემომოყვანილი იოანეს ხელში ქონებულ რუქის წარწერა — ამოღებულია ამ შესხმიდგან და წარმოადგენს მიმართვას კესარიელ მღვდელ-მთავრისადმი.

დასასრულ, დაცულა ჩვენი მწერლის ფაკსიმილეც. ჩართულია ის ეგრედ წოდებულ „სვანურ მანუსკრიპში“ საეკლესიო მუზეუმის ხელთნაწერში № 19.

პ. ინგოროყვა.

ფ რ ე ს ა

გაზეთ „იმერეთში“ ვინმე ის — არა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის მარშლის არჩევას ეხება და ბევრ ახირებულ აზრებს აპნევს გზა და გზა.

უპირველესად ყოვლისა უცნობი ავტორი აგვიწერს დიდის ფერადებით იმ მომენტს, როდესაც თავად-აზნაურულ ასპარეზზედ პირველად გამოჩნდა თავ. ბაგრატიონი. როგორც ავტორი დაასკვნის ბაგრატიონმა მაშინ იგდო ხელში თავად-აზნაურობის საქმეთა სადავე, როცა ეს უკანასკნელი ფერმიხდილი და ღონე გამოცლილი ეგდო „გულ-გაპობილ გმირივით“.

და რა გასაკვირველია, ჰფიქრობს ვინმე ავტორი და მოჰყავს არა ნაკლებ ვინმე ჯორჯიკიას სიტყვები, რომ:

„როცა გმირი გულგაპობილია, მხოლოდ მაშინ გაბედავს და მიეპარება ყორანი ლეშს საჯიჯგნელად“.

ეს აფორიზმი ალბად აზრის გასაშუქებლად არის მოყვანილი.

ჩვენ ვიცით აგრეთვე ერთი აფორიზმი, რომელიც, სამწუხაროდ, ჯორჯიკიას არ ეკუთვნის:

— როდესაც „სამოვარი“ მთლად ადუღდება, მხოლოდ მაშინ ადგამს დიასახლისი ზედ „ჩაინიკს!“

ეს ისე გენიალური არ არის, როგორც ჯორჯიკიას „მშვენიერი ნაწყვეტი“, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ისეთივე აპოკრიფიულია, როგორც პირველი.

მაგრამ დაუბრუნდეთ ჩვენს ცხვარს, როგორც ამბობენ ფრანგები.

ბატონი ის-არა ეხება აგრეთვე ახალს მარშალსაც. უნდა ვსთქვათ, რომ ახალ მარშალს ბატონ ის-არაზედ ნაკლებ არ ვიცნობთ და მის ღირსებაზედ ლაპარაკის იმდენივე უფლება გვაქვს, რამდენიც ბატონ ის-არას.

ჩვენ არ ჩამოვთვლით ამ ღირსებებს, რადგა-

ნაც თავის დროზედ უკვე გვქონდა ამაზედ ლაპარაკი, მაგრამ როდესაც ბატონ ის-არას სურს ამ ღირსებებს „კიდევ ერთი“ ღირსებაც მიუმატოს, სახელდობრ ისა, რომ თავადი კ. აფხაზი დიდებულ ილია ჭავჭავაძის დისწულია,

— და მარტო ესეც კმარა სიმპატიის მოსაპოვებლ·ადო, ჩვენი სურვილია ჯერ წერტილი დაუსვათ ამას და მერე ერთი აფორიზმი ჩვენის მხრითაც მივაწოდოთ ბატონ ის-არას.

მართალია, ეს აფორიზმი ბატონ ჯორჯიკიას არ ეკუთვნის, მაგრამ რაუყოთ რომ იმავ დიდებულ ილ·ა ჭავჭავაძეს ეკუთვნის.

ილია ჭავჭავაძე სომხის პუბლიცისტ არწრუნზედ შემდეგს ამბობდა:

— თუმცა ძმის პროფესორობა არა პროფესორ ძმისთვის ვერაფერი თამასუქია, მაგრამ განდიდების მისაღწევად მისი მეგობრები ამას არასოდეს არ ივიწყებენო.

ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ თავადი კ. აფხაზი ამისთანა „თამასუქებით“ არასოდეს არ ხელმძღვანელობდა და თუ კენჭი იყარა მარშლობაზედ,არა როგორც დისწულმა ჭავჭავაძისამ, არამედ როგორც თავადმა კ. აფხაზმა, რომელსაც საკუთარი გონება აქვს და რომელმაც კარგად იცის, რომ ამ გონების „სესხად“ აღება, თუ გინდ გენიოს ბიძისაგან შეუძლებელია.

ეს ხომ იგივე ნეპოტიზმი იქმნებოდა, ესე იგი „ძმისწულების“ და დისწულების გამწესება, რაზედაც ასე ბევრს ლაპარაკობს. იმავე წერილში ბატონი ის-არა და რაშიც ბრალსა სდებს თავ. ბაგრატიონს და მ. მიჩაბელს.

და ეს იქმნებოდა არა უბრალო ნეპოტიზმი, არამედ ,,მიცვალებულთა ნეპოტიზმი.'' ამას გარდა ეს იქმნებოდა დიდი შეურაცხყოფა თვით თავ. აფხაზისა. იმ ფაქტს რომ კ. აფხაზი ილია ჭავჭავაძის დისწულია ჩვენ ძალიან სადათ უყურებთ.

თავ.-აზნაურობამ აირჩია თავადი აფხაზი, როგორც აფხაზი და მხოლოდ ბედნიერ შემთხვევად მიგვაჩნია, რომ ისედაც გონიერ ადამიანს ჰყავდა აგრეთვე ,,გენიოსი ბიძა,'' რაც არ შეგვიძლიან ვიფიქროთ ბატონ ის-არაზედ, რომელსაც ბიძები ალბად სრულებით არა ჰაყვდა გენიოსები, რომ ასე ეპოტინება სხვის ,,დიდებულ ბიძებს''.

გაზ. „მერცხალში“ არა ჩვეულებრივი კორესპოდენცია იყო დაბეჭდილი, შემდეგის სათაურით:

აკაკი ქართულ საღამოზე პეტერბურგში,

რომელიც სავსებით მოგვყავს.

„ვეებერთელა დარბაზი სათავად-აზნაურო კრებულისა ხალხით გაჭედილია. უმთავრესი მიზეზი გახლავთ არტისტი სობინოვი.

სობინოვი კერპია განსაკუთრებით ახალგაზრდობისა. ვინ იცის რამდენი საათი შესწირვია მის მოსასმენად ბილეთების შოვნას, მაგრამ ამაოდ. გაუგონიათ რომ მისი ტკბილი, ნარნარი ხმა ატკბობს სულს, ატკბობს გულს, ანეტარებს სულიერ განწყობილებას, და უხილავი ნექტარით დამთვრალი მსმენელი მეშვიდე ცაზედ გადაყავს, რომ ერთი წუთით მოსწყვიტოს ის იმ ,საშინელებათა საბუდარს“, რომელსაც დედამიწა ეწოდება. ეს სობინოვი მღერის დღეს აქ, ქართულ საღამოზე; და აი ხალხმაც იწყო დენა. მარა მან გამოცდილებით იცის, რომ ასეთ საღამოებზე არტისტების გვარი უმეტესად სარეკლამოდ არის. შეჰპირდება არტისტი — ვიმღერებო, წინაღამით კი უეცრათ „ავად გახდება“. ამიტომაც არის, ვინც მოდის, პირველ ყოვლისა, სანამ ბილეთს იყიდდეს, კითხულობს: მართლა იმღერებს სობინოვი თუ არა. თუ იმღერებს შინაურებსაც უნდა გავაგებინო, ისინიც მოვლენო. სკეპტიკებს აჯერებენ და აი კაცი კაცს მოსდევს და დგება ისეთი საზოგადოება, რომელიც იშვიათია ასეთ საღამოებზე.

საღამო გახსნა სობინოვმა. მის გამოსვლას საზოგადოება მჭუხარე ტაშით მიეგება. მოჯადოებული საზოგადოება მას მანამდე არ უშვებდა სცენიდან, სანამ არ გამოაცხადეს—მეორე განყოფილებაშიაც იმღერებსო. მეორე განყოფილებაში ბალალაიკაზე თამაშის დროს, ფოიედან ტაშის ცემის ყრუ ხმა მოისმა. ხმა თანდათან სათეატრო დარბაზს უახლოვდებოდა და უფრო მეტად ქუხდა და გრგვინავდა. აი კარებთან გამოჩნდა ღვთაებრივი სახე მადლიანი პოეტისა. ვერცხლის ძაფების ჭაღარა ნაზათ ბიბინებს,გაბრწყინვებულ სახეზე სიხარულის და აღელვების ციალი დასრიალობენ. მას გარს ახვევია ქულაჯებში გამოწყობილი „არწივის ცხვირა, ქუჩუჩა თმიანი“ თანამემამულეთა გუნდი. მანდალინა

შესწყდა. დარბაზმა უკან მოიხედა, ზეზე წამოიჭრა და ტაშმაც დაიგრიალა. პოეტის შეხვედრა ოვაციად გადაიქცა. ტაშის ცემის აკომპანიმენტით პოეტი პირველ რიგში მიაცილეს. ეს პოეტი გახლდათ აკაკი. მეტად ეფექტიური და მგრძნობიარე იყო ეს მომენტი.

მეორე ასეთი მომენტი იყო, როცა სობინოვმა მოიწადინა პოეტის გაცნობა და მასთან პარტერში მივიდა. ორი ერის ხელოვნების წარმომადგენელი ერთმანეთს შეხვდა. პოეზიამ ქნარს ჩაუქროლა, სათუთმა სიმებმა წკრიალი მორთეს და მისი იდუმალი, ნაზი ხმით მოხიბლული საზოგადოება ფეხზე წამოდგა და პოეტის და არტისტის ერთიმეორეზე გადაჭდობილი ხელები — ეს ემბლემა ორი ერის კულტურის ნათესაობისა და კავშირისა ტაშის გრიალით აღნიშნა.

სობინოვის გამოწვევას არც ეხლა უჩნდა დასასრული. საზოგადოება დაწყნარდა მხოლოდ მაშინ, როცა გამოაცხადეს—უკვე წავიდა სახლშიო. მოეწონა საზოგადოებას აგრეთვე მაკაროვი და დოღონაძე, რომლებიც არა ერთხელ გამოიწვიეს და რამდენჯერმე გაამეორებინეს სხვადასხვა რომანსები. და ბოლოს გაიმართა ცეკვა—ლეკური, კინტოური, უზუნდარა. კავკასიური ცეკვა საზოგადოთ ძალიან მოსწონთ და რაღა თქმა უნდა ამ საღამოსაც მოეწონათ, მით უმეტეს, რომ წელს მაცეკვრები საერთოდ კარგები იყვნენ, განსაკუთრებით ქალები.

საღამოს დასრულების შემდეგ, როგორც შემოღებულია, გაიმართა ნადიმი. საკმაოდ დიდ ზალაში ჩამწკრივებული იყო პატარა სტოლები, რომელთაც თავს დასტრიალებდნენ კელნერშებად ჩვენებური კურსისტკები. მსურველი იმდენი აღმოჩნდა, რომ სტოლები არ ყოფნიდა. აი აგერ, შუა ადგილას, ყველაზე უფრო საინტერესო სტოლია. სხედან — პოეტი აკაკი, დეპუტატები—ა. ჩხენკელი, მ. სკობელევი, (დეპ. ჩხეიძე არ ყოფილა. ის ერთ კვირაზე მეტია რაც ავად არის), ყოფილი დეპუტატი ე. გეგეჭკორი, პოეტის ვაჟი და ორიოდე კიდევ სხვა. ეს, ასე ვსთქვათ, იმავ დროს „პოლიტიკური“ სტოლიცაა. სმენა და გაგონება—გაისმა ხმა. სტოლს ირგვლივ შემოეხვივნენ. ხალხი სმენად გადაიქცა. ჭიქას იღებს დეპ. ჩხენკელი და დაახლოვებით შემდეგს ამბობს: ისეთი დიადი ნიჭის მგოსანი, როგორიც არის აკაკი, უტყუარი მაჩვენებელია ჩვენი ეროვნული კულტურის. ის არის ამასთანავე ემბლემა ჩვენი ერის მთლიანობისა. ერი მთლიანია, მაგრამ იმავე რდოს დანაწილებული. ერის მებრძოლ რაზმებად დანაწილება კი მაჩვენებელია მისი პროგრესის, წინმსვლელობისა. ეს დანაწილება სრულიად არ უშლის ხელს მას თავის არსებობის დაცვაში. ნუ იფიქრებ მგოსანო, რომ ქართველი ერი აწმყოში ნაკლებ დაიცავს თავის არსებობას, ვინემ, ეს ყოფილა წარსულში. თუ წარსულში მას სათავეში ედგა მაღალი წოდება, დღეს მის მებაირახტრედ გამოსულია დემოკრატია, რაიცა საკმაო თავდებია იმისა, რომ გამარჯვება დღეს უფრო ადვილია. შენ ხარ მამა ჩვენი ერისა, მაშ გაუმარჯოს მხცოვან აკაკის და მის შვილს ახალგაზრდა საქართველოს.

დარბაზმა ტაშის ცემით დაიგრიალა. ა. ჩხენკელის საპასუხოთ პოეტი შემდეგს ამბობს: როცა მე და ჩემი ამხანაგები სამოქმედო ასპარეზზე გამოვედით მესამოცე წლებში, ისე ცოტანი ვიყავით, რომ იძულებული შევ-ქენით ერთად გვევლო, ბავშვებივით ერთმანეთს ვებღაუჭებოდით და ეს იმიტომ, რომ ისედაც მცირე გუნდი კიდევ უფრო არ დაქუცმაცებულიყო. დღეს კი სხვა მდგომარეობაა. ჩვენ ერს წამოეზარდა ახალი თაობა და მისი რაოდენობა იმდენად დიდია, რომ შეუძლებელია წარმოდგენა, ამოდენა ხალხმა ერთათ იაროს. ის უთუოთ უნდა დანაწილდეს და თვითეულმა თავის გზა აირჩიოს, მარა ყველა გზა ხომ რომში მიდის. ამ გზებზე სიარული ბოლოს და ბოლოს მაინც ერის სამსახურს მოასწავებს და მის განვითარებას ხელს უწყობს.

პოეტის სიტყვა ტაშის ცემამ დაჰფარა.

შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა დეპ. სკობელევმა. როგორც წარმომადგენელი იმ მხარის—ამბობს ის—საიდანაც თქვენა ხართ, ნებას ვაძლევ თავის თავს ავიღო ჭიქა თქვენდა სადღეგრძელოთ. შენი ვერცხლებრივი ჭაღარა, ეს სიმბოლოა წარსულის ბრწყინვალე დღეებისა, და ის აღფრთოვანებული შეგებება, რომლის მოწამე მე გავხდი, უტყუარი მაჩვენებელია რუსის და ქართველი ერის მჭიდრო სოლიდარობის ნამდვილი დღესასწაულისა, იმ დღესასწაულისა, რომელიც გვაახლოვებს იმ დიად მომავალთან, რომლისაკენ ასე მიილტვიან ორივე ერის საუკეთესო შვილები. თქვენა ხართ ერთი საუკეთესო წარმომადგენელი არა მარტო ქართველი ერისა, არამედ მთელი კაცობრიობისა, რითაც მე ჩემს ქართველ ამხანაგებთან ერთად ასე ვამაყობ. ხანგრძლივი ტაშის ცემა. დეპ. სკობელევის საპასუხოთ პოეტმა სთქვა: „მე დიდი სიამოვნება მაგრძნობინა თქვენმა სადღეგრძელომ. თქვენ ჭეშმარიტება ბრძანეთ—ჩვენ მართლა რომ დიდათ ვაფასებთ ძმობას,

ერთობას და მეგობრობას რუსის ერებთან. მართალია რუსის ხალხში ბევრია ისეთები, რომლებსაც არ სურთ და ეჯავრებათ ჩვენი ასეთი ძმური კავშირი, მაგრამ არის სამაგიეროთ ახალგაზრდა რუსეთი, რომელთანაც ჩვენა გვსურს ხელის-ხელ ჩაკიდებით სიარული, არა მარტო ეროვნულ, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალების, რომელსაც ეწოდება ძმობა, ერთობა, თანასწორობა. მე გულწრფელად ვისურვებ, რომ ამ ახალგაზრდა რუსეთიდან ნაცვლად ტიმოშკინთა თაიგულისა, მომავალშიაც სკობელევთა თაიგული მიგველოს.

აკაკის ამ სიტყვამ, რუსულათ წარმოთქმულმა როგორც შინაარსით, ისე თავის პოეტიური ფორმით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ დროს მოვიდა საღამოში მონაწილე ცნობილი არტისტი მაკაროვი. გაუმარჯოს ქართველი ერის საუკეთესო შვილს აკაკის — შემოსძახა მან სავსე ჭიქით და ზედ თავის ხავერდის ხმით ისეთი მრავალჟამიერი მიაყოლა, რომ დარბაზი ტაშით ზანზარებდა.

მაკაროვის შემდეგ მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა რუსულად ე. გეგეჭკორმა. მე ბედნიერი ვარ — ამბობს ის, რომ სწორეთ აქ, რუსეთის სატახტო ქალაქში, ვადღეგრძელო ის, ვინც შეადგენს ჩვენი ერის სიამაყეს. თქვენი სიტყვა ერთა სოლიდარობაზე მით უფრო საგულისხმოა, რომ ის ითქვა აქ, რუსეთის ცენტრში. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ იმ ერს, რომელმაც ასეთი დიდებული მგოსანი წარმოშვა, ჯერ კიდევ არ უთქვამს თავისი უკანასკნელი სიტყვა; რომ ის შესძლებს თავისი წვლილი შეიტანოს საკაცობრიო კულტურის სალაროში და მით შესაფერი საპატიო ალაგი დაიჭიროს კაცობრიობის კრებულთა შორის. ჩვენ მტკიცედ და შეურყეველად გვწამს ჩვენი ერის მომავალი. მან ეს უკვე დაგვიმტკიცა ახლო წარსულში, როცა ის ასე მედგრად გამოვიდა ბრძოლის ველზე. ამ მომავალის დაახლოვება, უფრო ადვილად მიხწევა კი მას შეუძლია რუსეთის სხვა ერებთან მჭიდრო კავშირით. მაშ გაუმარჯოს ამ კავშირს.

ყოფილი დეპუტატის სიტყვას დასტური დასცა დამსწრეთა მხურვალე ტაშმა. გეგეჭკორის შემდეგ მოკლე სიტყვით მიმართა პოეტს არტისტმა დოლონაძემ და შემოსძახა. მას ბანი და მოძახილი მიაყოლეს დამსწრეთ და ისეთი მრავალჟამიერი გაისმა, რომ ყველანი ექსტაზში მოვიდა. ტაშის ცემას დასასრული არ ჰქონდა. როცა ცოტათი სიჩუმე ჩამოვარდა, სკამზე ადის შუახნის კაცი, პროფესიით ინჟინერი (გარი ვერგავიგეთ) და ამბობს: ერთად ერთი ერია რუსეთში, რომელსაც ჩვენ ვერ ვამჩნევთ ნაციონალურ სივიწროვეს. ქართველი ერით, იმ ერით რომელიც სდგას პირველ რიგში, რომელიც გვაძლევს საუკეთესო ბელადებს აქ ცენტრში და ასე მედგრად იბრძვის საყოველთაო კეთილ-დღეობის დასამყარებლად, შეუძლია იამაყოს, არა მარტო ქართველს, არამედ ჩვენც. ამ ერის სიდიადე კიდევ იმით მცკიცდება, რომ მას ჰყავს პოეზიის ისეთი კორიფეი, როგორიც არის თავ. აკაკი წერეთელი. მე ვსვამ სადღეგრძელოს დიდებული პოეტისას და მის პიროვნებაში განსახიერებით იმ ერის აყვავებისათვის, რომელსაც ეწოდება ქართველი ერი. დარბაზმა ტაშის ცემით დააჯილდოვა უცნობი ორატორი და მრავალჟამიერი შემოსძახა.

ვახშამმა, რომელიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოეტის პატივსაცემ პატარა დღესასწაულად გადაიქცა, დილის ხუთ საათამდე გასტანა. ხუთ საათზე პოეტი ბინაზე გაეგზავნა და საზოგადოებაც დაიშალა. საღამოს დაესწრო დეპ. გელოვანიც.

„მერცხალი“ № 23.

ჰეტერბურგი.

(ვბეჭდავთ სტილის შეუცვლელად და მხოლოდ ცოტა-ოდენი ორთოგრაფიის შესწორებით).

ქუთ. გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლის

წერილი

მაზრის წინამძღოლებისადმი.

საერთოდ კავკასიისა და კერძოთ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა სოფლის მეურნეობას ეწევა და ერთად ერთი წყარო მისი კეთილდღეობისა მიწაა, რომელსაც იგი ამუშავებს. სოფლის წვრილი მემამულე, როგორიც არის ქუთაისის გუბერნიის მიწის მფლობელი, მეტად გაჭირებულ პირობებშია იმის გამო, რომ ის საშუალება, რომლითაც იგი მიწას ამუშავებს, ერთობ მცირე სარგებლობას აძლევს და რაკი სხვა წყარო შემოსავლისა არ მოეპოება, ნახევრად მშიერი საცოდავ

მდგომარეობაშია. გუბერნიის მცხოვრებთა რიცხვი კი მატულობს, მოთხოვნილება დღითიდღე იზრდება. ცხოვრება გაძვირდა, სხვათა შორის, იმის გამოც, რომ მიწა გამოიფიტა და გართულებული სულიერი მოთხოვნილება ხალხისა კი მეტს ხარჯებს მოითხოვს; სოფლის მეურნე სასოწარკვეთილებაში ჩავარდა და სახსარი ვერ მოუძებნია, რომ ამ აუტანელ გაჭირებას შეებრძოლოს, თავი დააღწიოს; ამ გაჭირებას ხელს უწყობს კიდევ ის გარემოება, რომ გუბერნიაში არ არის ისეთი დაწესებულება, რომელიც ავრცელებდეს სოფლის მეურნეობის ცოდნას და ამ მეურნეობის ტეხნიკურად გაუმჯობესება შეეძლოს სოციალური და ბუნებრივი პირობების მიხედვითაც. გუბერნიის მდებარეობის სხვადასხვა სახის წყალობით სოფლის მეურნესაც სხვადასხვა სახის ბრძოლაც უხდება ამ პირობებთან. ჩვენ არ მოგვეპოება დიდი მამულები, რომ შეგვეძლოს გავიჩინოთ მანქანები, იარაღები, გავაუმჯობესოთ საქონლის ჯიში, მოვიპოვოთ თესლეული. ძველათგან დარჩენილმა მიწის დამუშავებამ სრულიად გამოფიტა ნიადაგი და მემამულე არ დაეძებს მის გაპოხიერებას; გვალვა და აღმოსავლეთის ქარი სრულიად ადუნებს მეურნის ენერგიას, რომელიც უმწეოდ თავს დაჰყურებს მისი შრომის დაღუპვას; ჭაობიანი აუარებელი ადგილებია, რომელთა ამოსაშრობად მეპატრონეთ სახსარი არ მოეპოებათ; ტყე უღვთოდ, დაუზოგველად იჩეხება, საქრელები არ შენდება, კულტურული მცენარენი არ ირგვება და მთელი გუბერნია მარტო სიმიდსა და ვენახს დასჩერებია და ამათი კულტურის საქმეც ვერ მიდის სასურველად. ასეთი ვითარების წყალობით, გასაკვირალიც არ არის, რომ ქუთ. გუბ. მცხოვრებნი უკიდურეს სიღარიბეში ჩავარდნილან. მომავალში მცხოვრებთა ყოფა უფრო მძაფრსა და მწვავე ხასიათს მიიღებს, უკეთუ ზომებს არ მივიღებთ, რომ გუბერნიის მცხოვრებთა მშრომელი ნაწილის კეთილმდგომარეობისა და ეკონომიური პირობების გაუმჯობესებას ხელი არ მივყავით. ამ სახით ჯერ კიდევ შეიძლება დაარსდეს ისეთი დაწესებულება, რომელიც შემწეობას მისცემს ჩვენს სოფლის მეურნეს ცხოვრების ულმობელს პირობებს შეებრძოლოს. საჭიროა ხალხში სოფლის მეურნეობის ცოდნის გავრცელება, ზომების მიღება მიწის განოყიერებისათვის, ჭაობების ამოშრობა, მორწყვა, სამეურნეო იარაღების საწყობების გამართვა, წესიერი დამუშავება მიწისა და ტყის რიგზე სარგებლობა, საქრელების გაშენება და საზოგადოთ მამულის ღირებულების აწევა და ამით, რაც კი მოხერხდება მეტი სარგებლობის მიღება. ყველა ამის შესრულებას, ცხადია, ჩვენი სოფლის მემამულე ვერ შესძლებს, რადგან ამას დიდი ფული უნდა, ამას ვერ შესძლებს თვით საზოგადოება და წოდებაც, მაგრამ ქუთაისის გუბერნიის აზნაურობამ იქნება ამ ცუდ პირობებთან ბრძოლა გაუადვილოს სოფლის მეურნეს, თუ იგი თანხას გადასდებს ამ საქმისთვის. და ამ თანხის გამოღებისათვისაც მარჯვე დროა დღეს. როგორც ვიცით, დროებით — ვალდებული გლეხების გათავისუფლების გამო მემამულენი ხაზინიდან ფულს მიიღებენ; თითოეული მემამულე ამ აღებული ფულით რაიმე დიდი საქმის გაკეთებას ვერ შესძლებს, რადგან ცალ-ცალკე ჯამი ამ გამოსაყიდი ფულისა მცირე და უმნიშვნელო იქნება, ხოლო საერთოდ კი კარგა ძალი თანხა იქნება, რომლითაც შესაძლო გახდება აღდგენა და წარმატება გუბერნიის მცხოვრებთა სოფლის მეურნეობის ცხოვრებისა. რასაკვირველია, იმის იმედი კოტაა, რომ მთლად ეს მიღებული ფული გადაიდვას ამ საქმისთვის თანხად, მაგრამ პირადი სარგებლობისა და სრულიად გუბერნიის ინტერესებისთვის, დარწმუნებული ვარ, ყოველი მემამულე იმ ფულიდან 25% გადასდებს ჩვენი ქვეყნის სასარგებლო საქმისთვის და გაღატაკებულ მეზობელს მისას, სოფლის მეურნეს ფეხზე დააყენებს.

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო ბრწყინვალებავ, აუწყოთ თქვენი მაზრის თავად-აზნაურთ მომავალ კრებაზე, ზემორე აღნიშნული მოსაზრებანი სამელიორაციო თანხის დაარსების შესახებ. ამასთან საჭიროდ ვრაცხ გაცნობოთ, რომ ამ თანხის სარგებლობის წესები ცალკე შემუშავდება და როცა მას მიიღებს თავად-აზნაურთა გუბერნიის კრება, იგი შესაფერისად დადგენილი იქნება ცალკ-ცალკე შემთხვევისათვის, იმედი მაქვს, თქვენო ბრწყინვალებავ, ყოველ ზომას მიიღებთ და ჩვენი გუბერნიისთვის ამ დიდად მნიშვნელოვანი საქმის განხორციელებას ხელს შეუწყობთ.

შორს საზოგადო საქმეებისაგან!

ამ სათაურით ვკითხულობთ უცნაურ ამბავს, მოყვანილს ცნობილ რუსულ კოოპერატიულ ჟურნალში „Объединеніе“ იმის შესახებ, რომ ამ რამდენიმე ხნის წინად იმერეთის სახალხო სკოლების

დირექტორს გაუცია ბრძანება ყველა სოფლის მასწავლებლებისათვის, რომ **მათ ეკრძალებათ საზოგადო საქმეებში რაიმე მონაწილეობის მიღება**, მაგალითად, კოოპერატიულ დაწესებულებათა დაარსებაში, სახალხო უნივერსიტეტში მუშაობისა, სოფლის სამკითხველოების გახსნაში, ქსენონების მოწყობაში და სხვა ამგვარ კულტურულ-განმანათლებელ საქმიანობაში. სწორე გითხრათ ამ ამბავს არ დავიჯერებდით, თუ უკანასკნელ იმერეთის სოფლის მასწავლებლების აწიოკების მოწმენი არ მყოფილიყავით. და არც იმიტომ დავიჯერებდით, რომ შიდა რუსეთის ადმინისტრაციის „მეტოდები" ხალხის „განათლება განვითარების" საქმეში საქართველოში ასე ცნობილი არ იყო... მაგრამ მადლობა ღმერთსა!

ჩვენც ველირსენით ამ გვარ „კულტურტრეგერებს!"

ცნობილ „ციცერნაკის" – ტერგანსპარიანცის—გალობას, შეუერთდა ახლად გადმოფრენილი „კურსკელი ბულბული"... ბ. კრუპსკიც მექ, ერქუ, ლევოი, პრავოი!

აშენდა სახალხო განათლება საქართველოში!

ეკალი.

ქალთა საკითხი

ქალთა საკითხში, ჩვენ ქართველები, ისევე ჩამორჩენილები ვართ განათლებულ ხალხთან შედარებით, როგორც სხვა ბევრ რამეში.

ავსტრალიაში, ნორვეგიაში, უმეტეს ნაწილ ამერიკაში, ქალებმა თანასწორი უფლება მოიპოვეს. ავსტრალიაში ქალები მამაკაცებთან ერთად კანონმდებლობაში იღებენ მონაწილეობას. მათმა მონაწილეობამ დიდი სარგებლობა მოუტანა მუშათა საკითხის გადაწყვეტას, ბავშვების აღზრდას, დიდი ბრძოლა გაუწია ყოველ-გვარ უზნეობას, შეამცირა ლოთობა, უზრუნველ ჰყო სიბერე

აქედან ცხადათ სჩანს, რომ ჩვენ, ჩვენდა საბედნიეროდ იმ გზას უნდა დავადგეთ, რომელიც ზემო მოხსენებულ ქვეყნებში ქალებმა აირჩიეს.

ინგლისში, ამერიკაში, საფრანგეთში, იაპონიაჩინეთშიაც კი ძლიერ თავგანწირულად იბრძვიან ქალები თავის უფლებათათვის.

ასე ვიწრო ფარგალში ქალის მოვალეობის მომწყვრევა, როგორც ზოგიერთს სურს, შეუძლებელია, რადგან ქალი არა თუ დედაა მშობელი, არამედ აღმზრდელიც და საზოგადოების ისეთივე წევრია, როგორც მამაკაცი.

შვილის ყოლა ქალისთვის არ არის არც მოთხოვნილება, არც მოვალეობა და არც დანიშნულება—ეს პირდაპირ ბუნების მოვლენაა.

ქალის მოვალეობაა შვილი აღზარდოს. თუმცა ეს კაცის მოვალეობასაც შეადგენს, მაგრამ ფაქტიურად ქალია აღმზრდელი. დედას, როგორც აღმზრდელს დიდი ცოდნა-შეგნება სჭირია.

დედა აღმზრდელი უნდა იყვეს თანასწორუფლებიანი, მაღალ იდეალებით გამსჭვალული, რომ სასარგებლო მამული შვილი აღზარდოს.

ქალს უუფლებოს—მონას, შეუგნებელს, მხოლოდ მონად შეუძლიან აღზარდოს შვილი

მრავალი ქალია, რომელიც არა თუ დედობას, მამობას უწევს შვილებს. რამდენი ქალია, რომელიც არამთუ თვითონ ინახავს თავის თავს საკუთარის შრომით, დედმამასაც ეხმარება, ხშირად ობოლ დებსა და ძმებსა ზრდის.

ქალი, როგორც დედა, უზრუნველ ყოფილი უნდა გახდეს ნივთიერად,—ეს სიკეთე იქნება როგორც დედისათვის, ისე შვილისათვის. მაგრამ ეხლა ჩვენ ამას ვერ ვხედავთ ცხოვრებაში და მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც ქალები კანონმდებლობაში მონაწილეობას მიიღებენ.

ჩვენ უნდა შევხედოთ ცხოვრებას ისე, როგორიცაა და ამ ცხოვრებამ სხვა და სხვა მიზეზის გამო ქალი იძულებული გახადა თავის ბედზედ და მომავალზედ თვითონ იზრუნოს და იბრძოლოს თავის არსებობისათვის და უფლებისათვის.

იყო დრო, როცა ქალი ბატონი იყო და ეს ბატონობა დაკარგა.

ისტორია გვიჩვენებს, რომ ბატონობა მუდამ არავის შერჩენია.

ძველად მონობას ბატონობა მოსდევდა, ბატონობას კი მონობა.

ქალები არასოდეს თავის მონობას არ ურიგდებოდნენ, და თავგანწირულნი იბრძოდნენ; აქედან წარმოსდგა ამაზონობა. „ამაზონობა, ამბობს ბახოვენი, არ იყო რომელიმე ქვეყნის ან ტომის კუთვნილება, არამედ ყველგან და ყოველ ტომში, ქალების ნაჭეტან დამცირებას ამაზონობა მოსდევდა ე. ი. ქალების ბრძოლა თავისუფლებისთვის.

იმისდა მიხედვით, განაგრძობს ბახოვენი, ქალები იმარჯვებდნენ თუ კაცები, კაცობრიობას წარმატება ან დაქვეითება მოსდევდა.

როდესაც ქალები იმაჯვებდნენ, კულტურა მაღლდებოდა: ქალაქები შენდებოდნენ, მიწის დამუშავება ფართოვდებოდა, მამაკაცები უფრო მამაცნი და გულადნი ხდებოდნენ.—წინააღმდეგ შემთხვევაში, როდესაც მამაკაცები იმარჯვებდნენ, კულტურა ძირს ეშვებოდა მამაკაცნი ყოველ დაბალ სიამოვნებას ეწეოდნენ, ზნეობით ეცემოდნენ, მთლად ლაჩრდებოდნენ, დედაკაცნი მათ ზიზღით ზურგს აქცევდნენ".

თუმცა მამაკაცები ფიზიკურ ძალით იმონავებდნენ ქალებს, მაგრამ მათი სულის დამონავება ვერ შესძლეს.

ქალები, როგორც ევის ჩამომავალნი, ყოველთვის მზად იყვნენ მათთვის აკრძალული „ხილი ცოდნისა და მეცნიერებისა," ეგემათ. მათში ყოველთვის ღვიოდა ნაპერწკალი განათლებისა, ქალებს შორის გამოდიოდნენ მცოდნე საპატიო პირები: ექიმი, მკითხავი, ღმერთების მსახურნი.

აღმოსავლეთში ქალები მეტად დამონავებული იყვნენ. დასავლეთში ძველად სწამდათ, რომ ქალს შეუძლია უფრო დაახლოვებული იყვეს ღმერთებთან—და მომავალი იწინასწარმეტყველოს. ხალხი აფასებდა მათ. ამიტომაა რომ 12 ოლიმპიის ღმერთთა შორის 6 ქალია და ათენა პალადა, რომელიც თვით ზევსის თავიდან გამოვიდა, ითვლებოდა—სიბრძნის და ცოდნის ღმერთად.

კაცები იმონავებდნენ ქალებს მხოლოდ მაშინ როდესაც უკანასკნელნი შეუდგებოდნენ ცხოვრების მოწყობას. ხალხთა ისტორია მოგვითხრობს: როდესაც რომელიმე ხალხი მყუდრო, განათლებულ ცხოვრებას ეწყობოდა, მაშინ უფრო ფიზიკურად ძლიერი და ბარბაროსული ხალხის მსხვერპლად ხდებოდა, ეს ბედი ეწვია ქალებსაც. ასე ხსნიან ქალების მონობას ძველი ისტორიის მკვლევარნი ბახოვენი, მორგანი და სხვანი. საშუალო საუკუნოებში თითქო ბედმა გაუღიმა ქალებს.

მაგრამ ეს აზრი შეცდომად მიაჩნია შაშკოვს (историческія судьбы женщинъ)

საშუალო საუკუნოებში ბატონობდა სასულიერო წოდება, რომელიც სასტიკად სდევნიდა ყოველ თავისუფალ აზრს. რამდენი ადამიანი დასწვეს კოცონზედ. ეს ბედი არ ასცდა ქალებსაც. არათუ თავისუფალ აზრისთვინ, მწიგნობრები ბევრ სულ სხვა უბრალო მიზეზებისთვის—ქალებს კუდიანებად აღიარებდნენ. ამას ყოველთვის მოსდევდა წამება და სიკვდილით დასჯა. ამ შემთხვევაში ქალებმა ბევრად მეტი მსხვერპლი მოუტანეს კაცობრიობას, ვიდრე მამაკაცებმა. შაშკოვის სიტყვით, რაინდობამ ფარისევლური, გარეგნული პატივის ცემა გამოხატა ქალის წინაშე. რაინდი ქალის სახელით მრავალ გმირულ საქმეს სჩადიოდა, და იმავე დროს თავის ოჯახში, ცოლშვილში დიდი ბარბაროსი იყო.

რაინდობამ არაფერი არ მისცა ქალს, მის მონობის უღელი არ შეამსუბუქა.

ლილი ბრაუნი ამბობს: ეკონომისტები სხვა ნაირად ხსნიან ქალების მონობასო.

პირველ საუკუნოებში, როდესაც ხალხი ნადირობით ცხოვრობდა, ქალი და კაცი ერთ შრომას ეწეოდებოდნენ, ორივენი ერთნაირი ღონისა იყვნენ. როგორც ქალი შვილოსნობას დაიწყებდა, მაშინვე კაცს შორდებოდა, ბინას იჩენდა, ბავშვს ახვევდა ნადირის ტყავში; ბავშვი რომ მოიზრდებოდა—მერე მისთვის საქმლის კეთებას უნდებოდა. აქედან წარმოსდგა შრომის განაწილება. ასე ქალი ძალა უნებურად შინ რჩება, კაცი ნადირობს და მტერს ებრძვის. როდესაც კაცმა ცეცხლი გაიჩინა, ქალი მას დარაჯად მიუყენა.

მაშინ ქორწინება იმ სახით, როგორც ეხლა, არ იყო. კაცი, როდესაც რომელიმე ტომში შედიოდა, ის ყველა იმ ტომის ქალების ქმრად ითვლებოდა და ყოველი ქალი ამ ტომისა, ყველა კაცების ცოლად—შვილი დედობით განირჩეოდა და არა მამობით—ეს იყო დედის უფლების გამეფება „მატრიარხატი"; რამდენადაც პირვანდელი საოჯახო მეურნეობა ვითარდებოდა, იმდენადაც ქალი უფრო და უფრო სჭირდებოდა მამაკაცს. მალე კაცი მიეჩვია სარჩოს შენახვას, გაიჩინა საკუთრება, მუშა ხელი დასჭირდა, ამიტომაც როცა მტერს სძლევდა, მონად აქცევდა და ამუშავებდა. საკუთრებამ შეჰქმნა მონობა, პირველი მონა იყო ცოლი ქმარისა, დედა მისი შვილებისა.

ოჯახის საქმე გართულდა, ქალი მთლად ჩაითრია შინაურმა წვრილმანებმა და ის დაშორდა საზოგადო საქმეს.

გამეფდა პატრიარხატი.

კაპიტალისტურ წესწყობილებამ ქალი ეკონომიურად დაუმორჩილა კაცს და ამით დააკანონა ქალის მონობა.

დედობა თავიდანვე უშლიდა ხელს ქალის თავისუფალ მოქმედებას.

ჩვილი ბავშვი ყოველთვის საჭიროებდა დედის მზრუნველობას.

აი სწორედ ეს მუდამ ხელს უბოჭავდა ქალს.

დედობა მძიმე უღელს ადგამდა ქალს, რომლის მოშორება შეუძლებელი იყო.

მაგრამ ამასთანავე სწორედ ეს დედობა ატარებდა ყოველ განათლების და ზნეობრივი განვითარების ჩანასახს.

ეს იყო პირველი სხივი ზნეობრივობის ბნელ უკუნეთში.

დედობრივი სიყვარულით ქალმა ზნეობრივი ყოველნაირი სახე შეჰქმნა.

ქუთაისელი.

P. S. ეს წერილი მივიღეთ ქალთა ერთი ჯგუფისაგან, რომელსაც ვბეჭდავთ იმისდა მიუხედავად, რომ ბევრში ვერ ვეთანხმებით. ვბეჭდავთ იმიტომ, რომ ამ ჯგუფთან ერთად სასურველად მიგვაჩნია, სხვებმაც გამოსთქვან თავისი აზრი. ოღონდ საჭიროდ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ **კერძო** წერილებზედ რედაქცია პასუხს არ იძლევა, როგორც აქამდის. დასაბეჭდი წერილები უნდა იყვეს დაწერილი გარკვეულის აზრით და ხელით.

რედ.

ბალკანეთის ომი და ზავი

დროებითი ზავი უფრო გრძელი გამოდგა, ვიდრე თვით ომი სწარმოებდა, მაგრამ მაინც მტკიცე ზავად ვერ იქცა. ლონდონის კონფერენციაზედ, ოსმალეთის და ბალკანეთის მოკავშირეთა წარმომადგენელნი ისეთის რიხით შეხვდნენ ერთმანეთს, როგორც შეეფერებოდათ „ბატარა“ სახელმწიფოებს: ერთის მხრით თავგბრუდასხმულთ გამარჯვებით, და მეორე მხრით გულზვიადთ ჩატალჯის შეუვალობით,—მოწინააღმდეგეთ ისეთი მოთხოვნილება წარუდგინეს ერთმანეთს, რომ არც ერთს არ შეეძლო შეთანხმებაზედ გულგრილად დაბარაკი. ორთავ მხარე თითქო იმის ცდაში იყო, რომ გადმა გასდაყუბოდა მოსისხლე მტერსა—გამოდმა მაინც შემრჩებაო, მაგრამ მდგომარეობა რთულდებოდა საერთაშორისო განწყობილებით.

თუ ბალკანეთის სახელმწიფონი უდიერად იხოუღობდნენ ადრიანოპოლის, სკუტარის და სხ. ციხეების უბრძოლველად დათმობს, გარდა უველა სხვა დაგერილ ტერიტორიისა, ოსმალნი არა ნაკლებ თავხედურად სცდილობდნენ გაებათილებინათ მთელი ომის შედეგები და ძველს „სტატუსქვოს“ დაჭბრუნდებოდნენ თითქოს. ახლა რის იმედი და საბუთი ჭქონდა ან ერთს ან მეორე მხარეს ასეთის ქცევისათვის?

ბალკანეთის კავშირი, დამთვრალი გამარჯვებით, ვერ ამჩნევს, რომ მისი ძალდონე უკანასკნელი გაბრძოლება, უკანასკნელი ცდა, რომელიც, შეიძლება, საბედისწეროდ გადაექცეს: საუკეთესო რაზმები, საუკეთესო ინტელიგენტური ძალები შეკალეს ოსმალეთის ტეფიანიშტებს, მათს სიმაგრეებს. მიდითონობით დახარჯული ფული, მართალია, თითქო კარგ შესყიდულობას აძლევს მათს არმიას, მაგრამ მათი საალრო დაშრეტილია ბრძოლის წინ და იმედი მარტო სესხზედ თუ აქვთ დამყარებული და საერთაშორისო კომბინაციებზედ, მაგრამ ეს ხომ ორმხრივი ხიფათია: ევროპა არ დაგიდევს სამართალს და თუ მისმა ინტერესებმა მოითხოვეს, შეიძლება მოკავშირეთ ისიც დაჭკარგონ, რაც აქამდე ჭქონდათ; მით უფრო, რომ გარკვევით რუსეთიც, ეს უმახლობელესი სახელმწიფო, არავითარ თამასუქებს არა ჭბირდება საშველად.

ოსმალნი კი ამ დროს შინაურ შფოთს გასიცდიან. მართალია, ანატოლიიდან გადმოხიდეს კარგა ბლომა ჯარი გალიპოლში და ჩატალჯაზედ, დროც ბევრი გაჩანჩალეს, რომ გონზედ მოსულიყვნენ და ძალა მოეგრიბნათ, მაგრამ ორი უმძლავრესი პარტია უმაღლეს სახელმწიფოებრივ განსაცდელის წინაშე მაინც ვერ შერიგებულა. „ერთობის და პროგრესის“ კომიტეტი, რომელმაც უკანასკნელ დროს მოახდინა Coup d'état, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უწევს „სამხედრო ლიგას“ და თუმცა ორთავეს წადილი—ომია, სამშობლოს სიერცხვილისაგან დასახსნელად მაინც ვერ შეთანხმებულან საერთო მტრის წინაშე.

ჩატალჯის სიმაგრე, ფინანსიური და სურსათით დახმარების ადგილი გერმანია-ავსტრიისაგან, რუმინიის ეოუდოჩინობა ბულგარეთის საზღვარზედ, ეველა ეს საკმარის მასალად მიაჩნია ოსმალეთს, გამარჯვების ოცნების საგებავად.

მოლაპარაკება დელეგატთა შესწედ, ალაპარაკდნენ ისევ ზარბაზნები.

— ჩვენ ნებას არ მივცემთ ომისას, იძახდნენ ევროპიელი სახელმწიფონი.

ომი დაიწყო.

ჩვენ შევარიგებთ მოწინააღმდეგეთ, აბობდნენ ევროპიელი სახელმ. მოლაპარაკება ჩაშალა.

— ომი ხანმოკლე იქნება და მებრძოლთ საზღვრებს არ გასცდება, ადასტურებენ ეგივ სახელმწიფონი. ომი მართალია ვერ გასტანს დიდხანს, თუ შებრძოლთ ფინანსიური დახმარება არ ადმოუჩინეს გარედან, მაგრამ ომის დოკალიზაციაზედ კი რა მოგახსენოთ.

ბალკანეთის ომის დასაწყისში უფრო ნაკლებ იყვნენ მომზადებულნი ევროპიელი სახელმწიფონი, ვიდრე ეხლა. მაინ არაფერი ჭქონდათ დახარჯული წინასწარ მომზადებაზედ და ეხლა მიდიონებით ირიცხება ეს ხარჯები, მაინ ნაკლებ იყვნენ შეგულიანებულნი და ეშინოდათ შინაური შფოთისაც. დღეს კი მიმშვიდებულია თითქო ქვეყანა და საოცრად იყურებიან მოავრობანი, რომლებისთვის ეოკალთვის ხელსაყრელია ომი ამ ძველი მიზანსაზრებით, რომ იგი ერის გულის ეურს გარეშე საქმეებისაკენ მიაქცევს და შინაურ უწესრიგობაზედ ნაკლებ

ავიქრებს. მაგრამ უკანასკნელმა დრომ, ნამეტნავად რუსეთ—იაპონიის ომმა აჩვენა ქვეყანას, რომ შინაური, სოციალური წელულები მეტად მძიმე და სუსხიანი გახდა, რომ შეიძლებოდეს მათი რითიმე გადაფუჩეჩება, მაგრამ ევროპიელი სახელმწიფონი მაინც ურიგდებიან თითქო საერთაშორისო ომსა.

გერმანიამ და ავსტრიამ იმდენი ჯარის კაცი შეჰკარა, იმდენი სურსათი და ტუვია-წამალი დაამზადა, ისეთი ზომები მიიღო საზღვრებზედ და ისეთი საომარი კანონპროექტი შეიმუშავეს შინაობაში, რომ უველა ეს აურაცხელი ხარჯის მომტანი სამზადისი ცუდი შედეგების მომასწავებელია. ფსიხოლოგიურადაც კი ძნელი წარმოსადგენია, თუ რამ უნდა შეამაგრონს ამოდენა აზვავებული ხალხი, თუ ოდნავ მწვავე საბაბი მიეცათ რაშე. მართალია, რუსეთმა თითქმის ბევრი შეირცხვინა და მოძმე ხალხი დვთის არაბარად მიატოვა, მაშინ როდესაც ომის დასაწყისში შეეძლო ხმა აემაღლებინა და გაბედული ნაბიჯით ავტრიასთვის დაგამი ამოედო, მაგრამ როდემდის იხევს უკან რუსეთი, როცა ავსტრია-გერმანია მოურიდებლად ეშეკრება და კრიჭაში უდგება. რუსეთის ხალხს ომი წარმოუდგენელ უბედურების მეტს არას მოუტანს, მაგრამ სახელმწიფოებრივი ბრესტიჟი და თავმოყვარეობა ომისაკენა ჰკრავს ხელსა, რომ ხმა რუსეთის სახელმწიფოსი ევროპის „კონცერტში“ ისევ გამაგრდეს.

ამის კარდა, თუ რუსეთს არაფერი მახლობელი ინტერესი არა აქვს ბალკანეთზედ, ისტორიული ბერსბექტივა მეტად კარგს იერს იღებს დღესა: მონათესაკენ სლავიანები, უეჭველია ძმურად ხელს გაუწვდიან რუსეთს, რომ შავი ზღვა, საბოლოოდ სლავიანთა ხმელთაშუა ზღვად აქციონ.

შესწევს რუსეთს ამდენი ძალა თუ არა? რუსეთი რომ დარწმუნებული იყვეს, მისი „მეგობარი“ სახელმწიფონი ინგლისი და საფრანგეთი არამთუ საომარ დახმარებას მარტო მორალურად და ტოტა ფინანსიურადაც ხელს წაუშველებდნენ გაჭირების დროს—მას თამამად შეეძლო თავი აემაღლებინა გერმანელთა ხიშტების წინაშე.

ძნელია საოქმელად სად გავარდება, ან გავარდება კი ბირველი ზარბაზანი, რომელიც ბალკანეთის ომში ჩაითრევდეს სხვებსაც, მაგრამ რაც ომი გაგრძელდება, მით ეს შიდა-ადინი უფრო სინამდვილესთან ახლო იქნება. თანამედროვე სახელმწიფოთ არ შეუძლიანთ დიდხანს იმ „ამრეხილ გუნებაზედ“ ყოფნა, რომელშიაც ეხლა არიან. რადგან ეს რამდენიმე შიაღიონად უჯდებათ. ბალკანეთის ომს კი ბოლო არ უჩანს ჯერა: ადრიანოპოლი შეუვალ კალეთ გადაქცეთ მოკავშირეთ, სკუტარის უმწეოდ ეხეოქება ჩერნაგორელთა რაზმები, ჩატალჯა ძვეელებურად სიკვდილსა ჭიკნის კარშემო და გაშლილი გალიზოლიც ვერ შეიქმნა მოწმედ სიბოლოო გამარჯვებისა.

უველა ეს ერთად გვიფიქრებინებს, რომ დღესხვად ევროპის სახელმწიფონი ისევ ჩაერევიან საქმეში და თუ წინასწარი სიდუმლო შეთანხმება არა აქვთ რა, —საერთაშორისო ომი 1913 წლის ქორონიკაში მოიქცევა.

მეომარი.

ს. გურჯაანის წვრილი კრედიტის ამხანაგობის წლიური კრება

27 იანვარს ადგილობრივ ბიბლიოთეკის საკუთარ შენობაში მოხდა წლიური კრება წვრილი კრედიტის ამხანაგობისა, ზედამხედველ ბ-ნ ვიფორსის თანადასწრებით. წევრთა უმრავლესობა დაესწრო. განსახილველი იყო წლიური ანგარიში; წარსული წლის დამდეგს ამხანაგობას ჰყოლია 200 წევრი; წლის განმავლობაში მოჰმატებია 205 წ. წლის დამლევს ჰყოლია სულ 405 წ. ანგარიშის ბალანსი: პასივი. საანგარიშო წლის დამდეგს ჰქონდა ძირითადი თანხა 2000 მ. სათადარიგო 5 მან. 94 კაპ. სახ. ბანკიდგან მოკლე ვადიანი სესხი 3000 მ. სულ 5005 მ. 94 კ. წლის განმავლობაში შემოვიდა დასაბრუნებლად 5 მ. 94 კ. შესანახი 1160 მ. სესხი 10000 მ. სარგებელი 1039 მ. 20 კ. სულ 12205 მ. 14 კ. გასავალი (იბრუნა) 5 მ. 94 კ. შესანახი 130 მ. გასესხებული იყო 9400 მ. სარგებელი 609 მ.29 კ.სულ 10245 მ.23 კ. წლის დამლევს დარჩენილია: ძირათადი თანხა 2000 მან. სათად. თ. 5 მ. 94 კ. შესანახი 1030 მ. სესხი 3500 მ. მოგება 429 მ. 91 კ. სულ 6965 მ. 85 კაპ.

აქტივი შემოსავალი გასესხებული 11515 მან. სარგებელი 609 მ. 29 კ. სულ 12124 მ. 29 კაპ. გასავალი სესხი 12455 მ. შეძენილი ქონება 113 მ. 40 კ. ხარჯი და ზარალი 609 მ. 29 კ.

სულ 13177 მ. 69 კ.რჩება საანგარიშო წლის დამლევს გასესხებული 5875 მ. ქონება 113 მან. 40 კ. სულ 5988 მ. 40 კ. ანგარიშის დამტკიცების შემდეგ კრებამ გაანაწილა მოგება 429 მ. 91 კ. ამნაირად: 175 მ. გადასდო საკუთარ ძირითად თანხის შესადგენად; 84 მ. სათადარიგო თანხად; 100 მ. ამხანაგობის საკუთარ შენობისთვის თანხის შესადგენად; 50 მ. საშუამავლო საოპერაციო თანხისთვის; 15 მ. ადგილობრივ ბიბლიოთეკას და 5 მ. 91 კ. წიგნების სახით ჯილდოთ ამხანაგების შვილებს, რომელნიც მათგანი საუკეთესო მოწაფეები აღმოჩნდებიან ადგილობრივ პირველ დაწყებით სკოლებში. მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა დაამტკიცა 510 მან. აქედან 300 მ. დაუნიშნა წლიურ ჯილდოთ გამგეობის ორ წევრს საქმის მწარმოებელთ სანახევროდ და 60 მ. მესამე წევრს ხაზინადარს. 150 მ. სხვა და სხვა ხარჯისათვის. ბ-ნი ვიფორსი დაჰპირდა ამხანაგობას 2000 მ. ზედმეტ სესხს განსაკუთრებულის დანიშნულებით იმ შემთხვევისთვის, თუ ვინიცობაა ვადით შესანახი ფული მოულოდნელად დასჭირდა პატრონს მის გასასტუმრებლად, რადგან კასაში შეიძლება არ აღმოჩნდეს თავისუფალი ფული იმ დროს. კრებამ ნდობა და მადლობა გამოუცხადა მოთავეებს.

ამხანაგი.

რედაქტორ-გამომცემელი **რ. გაბაშვილი.**